ხაშურის მოამბე

№25 (496) 7 ივლისი, ორშაბათი, 2025 წელი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ პროექტებს:

სურამში მრავალფუნქციური სასტუმროების კომპლექსის მშენებლობისათვის სპს ,,პარკ ჰოტელის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) (ს/კ 69.08.68.299) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 6 თებერვლის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 69.04.62.205) პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საფინანსო, სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების მიერ, 2025 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

„ტაშისკრობა“ - 2025 -

ტაშისკრის ბრძოლა - ქართული საბრძოლო ხელოვნების ტრიუმფი

ტაშისკარში, გიორგი სააკაძის სარდლობით გამარჯვების 416 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაესწრო.

სოფელ ტაშისკარში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, ტაშისკრის ბრძოლაში გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელი პანაშვიდი მეუფე სვიმეონმა ჩაატარა.

ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით კონცერტი გაიმართა.

ხაშურში ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის პრეზენტაცია გაიმართა

პრეზენტაციას დაესწრნენ და აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში დიდიე ტღებიუკმა, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში დაგლას უებმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ნათია წიქარიძემ, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო რუხაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიად გოგუაძემ და გაეროს სააგენტოების (FAO; UNICEF) წარმომადგენლებმა იამზე მირაზანაშვილმა და ნინო დავითაშვილმა.

აუდიტორიას ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის დოკუმენტის ფარგლებშიმომზადებულიპრეზენტაციაწარუდგინესხაშურისმუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი პაპიაშვილმა, სოფლის მეურნეობის ხაშურის საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელმა ჯემალ გელაშვილმა, პროფესიული კოლეჯი „ქართლის“ ხელმძღვანელმა ხათუნა ლობჟანიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის სამსახურების, მუნიციპალური ა(ა)იპ ორგანიზაციების, ახალგაზრდობის, ადგილობრივი ბიზნესის და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტი გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური ფონდის დაფინანსების ფარგლებში, საქართველოში წარმოდგენილი გაეროს სააგენტოების: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მომზადებულ ერთობლივ პროექტში 2024 წლიდან მონაწილეობს. პროექტის მიზანია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ დონეზე განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით მიღწეული წარმატების წარმოჩენა საქართველოს მუნიციპალიტეტებში, კერძოდ: ცოდნის გაუმჯობესება მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ლოკალიზაციის შესახებ, რაც ნიშნავს ადგილობრივი აქტორების (თვითმმართველობა, ბიზნესი, ადგილობრივი მოსახლეობა) მხარდაჭერას, ასევე ადგილობრივი მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერებას SDG-ების განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში, რაც უპასუხებს თემის საჭიროებებს და შესაძლებლობებს (ინკლუზიური განვითარების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის, ხარისხიანი საჯარო სერვისების მიმართულებით) და მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ადგილობრივი ქმედებების დასახვას/ გაძლიერებას ინკლუზიური პრაქტიკების და ინოვაციური სერვისების, მათ შორის, ნარჩენების მართვის, ჯანსაღი სასურსათო სისტემებისა და სოციალური პროგრამების კუთხით.

პროექტის ფარგლებში, გაეროს სააგენტოების ტექნიკური მხარდაჭერით, მომზადდა მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ნებაყოფლობითი ადგილობრივი მიმოხილვის (VLR) ანგარიში (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP); ამავე პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სამსახურებმა იმუშავეს მოწყვლადი ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახებისთვის სოციალური პროგრამირების გაძლიერების და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით (გაეროს ბავშვთა ფონდი - UNICEF); ასევე, სურსათის ნარჩენების მართვის იერარქიის პრინციპების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში ასახვის და სასურსათო სისტემების შესახებ ცნობიერების ამაღლების (სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია - FAO) საკითხებზე.

ხაშურში ვიზიტისას გაეროს მაღალი თანამდებობის პირებმა მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან ერთად მოინახულეს ზემო სერის ტყე–პარკის რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტი, ასევე ესტუმრნენ ხაშურში მომუშავე საზოგადოება „ბილიკის“ ბავშვთა რეაბილიტაცია–აბილიტაციის ცენტრს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2025 წლის 5 თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფას, ფინანსების მართვის გაუმჯობესებას, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების და ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის - ჰარმონიზაციის ცენტრის - მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, სტანდარტებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

პირველ რიგში, 2025 წლის იანვრის თვეში, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ, მომზადდა 2024 წლის ანგარიში, რომელიც წარედგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს, ფინანსთა სამინისტროს შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტს და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.

2025 წლის განმავლობაში, აუდიტორული შემოწმებები წარიმართა შიდა აუდიტის სამსახურის 2024 წლის 23 დეკემბერს დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად. შიდა აუდიტის სამსახურმა შეამოწმა მერიის შემდეგი სამსახურები:

მერიის ზედამხედველობის სამსახური - აუდიტის ფორმა - შესაბამისობის აუდიტი;

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება - აუდიტის ფორმა - შესაბამისობის აუდიტი;

2023 წლის 5 თვის განმავლობაში არ განხორციელებულა დაუგეგმავი აუდიტორული შემოწმებები.

შიდა აუდიტის სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია სამსახურის ხელმძღვანელი, 1 მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და 1 მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. არსებული საკადრო რესურსისა და დატვირთვის გათვალისწინებით, წლიური გეგმით დადგენილი აუდიტორული შემოწმებები ხორციელდებოდა 2 აუდიტორისგან შემდგარი ჯგუფის მიერ.

შიდა აუდიტის სამსახურმა 20.01.2025-დან 07.03.2025-მდე პერიოდში განახორციელა მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა განსახორციელებელი ღონისძიებების ინდივიდუალური გეგმა და შესაბამისი ამოცანები:

ზედამხედველობის სამსახურის დებულების ანალიზი;

სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების ანალიზი მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში;

ექსპლუატაციაში მიღებული ან/და ექსპლუატაციაში არ მიღებული ობიექტების საქმისწარმოების ანალიზი, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით;

სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამართალდარღვევათა პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებათა ორგანიზების ანალიზი;

2024 წელს წარმოებული სამშენებლო სამართალდარღვევების დოკუმენტაციის ანალიზი;

ნარჩენების მართვის სფეროში განხორციელებული სამართლებრივი ღონისძიებების გატარების შესაბამისობის ანალიზი;

მოქალაქეების მიერ 2024 წელს შემოტანილი განცხადებების ანალიზი;

2024 წლის საფუძველზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილი ანგარიშის ანალიზი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური (ტექსტში შემდგომ - სამსახური) შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე და არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღასრულებს ხაშურის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებებს.

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახური პასუხისმგებელია 2024 წელში განხორციელებული საქმიანობის კანონიერებაზე, საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან საქმიანობის შესაბამისობაზე.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს:

საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“;

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“;

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“;

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“

„ნარჩენების მართვის კოდექსის“;

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად“.

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საქმიანობის იმდაგვარი წარმოებისათვის და ისეთი ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და კანონშეუსაბამობას;

დადგენილი წესით უზრუნველყოფს, სამსახურის კომპეტენციაში მიკუთვნებულ საკითხებზე სამართალდარღვევათა პრევენციასა და აღკვეთის ღონისძიებათა გატარებას. აუდიტორული შემოწმების დროს, დასმულ კითხვებზე ახსნა-განმარტებებს იძლეოდნენ მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი და სამსახურის უფროსი სპეციალისტები.

აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით შიდა აუდიტის სამსახურს გადმოეცა შემდეგი დოკუმენტაცია:

სამსახურის დებულება;

შედგენილი ოქმები;

შედგენილი აქტები;

ზედამხედველობის სამსახურის ძირითადი სამოქმედო დოკუმენტაცია;

2024 წელს შემოსული განცხადებები;

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიში;

სხდომის ოქმები;

უწყებები;

მოხსენებითი ბარათები;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოჩენის ფაქტების ამსახველი დოკუმენტები;

შედგენილი ბრძანებები;

დეკლარაციები;

ექსპლუატაციაში მისაღები ობიექტების საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზები;

ობიექტებზე გადაღებული ფოტომასალა;

შემოწმების მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა შეესაბამებოდა თუ არა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავდა მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ზედამხედველობის სამსახურის მიზნები შემდეგია:

ა) დადგენილი წესით უზრუნველყოს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სამართალდარღვევათა პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიებათა ორგანიზება;

ბ) სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სფეროში საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებასა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევების საქმეების წარმოება;

გ) საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოება, შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა;

დ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის შესაბამისად რეაგირება და შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა უკანონოდ ჩამოხსნილ, ჩამოხეულ, დაფარულ ან დაზიანებულ საარჩევნო პლაკატებთან დაკავშირებით;

ე) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შესაბამისად განახორციელოს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა-ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობა საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, მათი არსებული წესით შესაბამისობაში მოყვანა და კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლი;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ხაშურის თვითმმართველობის ორგანოების ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და მათი არსებული წესით შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლს;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს (შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გარე განათების, მიწისქვეშა გადასასვლელების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, მარკიზების, კომუნიკაციების, ჯიხურებისა და ჭების, საქალაქო მეურნეობის სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიური მდგომარეობა);

გ) ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური

პირების მიერ განხორციელებულ შემდეგ საქმიანობაზე: დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამუშაო ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება, ქალაქის მწვანე ნარგავების დაზიანება ან თვითნებური გაჩეხვა, სამშენებლო ან შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების დროს ტერიტორიის დაზიანება;

დ) აუცილებელი საგზაო სამუშაოების დაგეგმვის მიზნით, ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში დაზიანებული გზის საფარის აღდგენის ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის შედგენაში მონაწილეობას და შესრულების თაობაზე ინფორმაციის მომზადებას, კომპეტენციის ფარგლებში;

ე) უკანონო, უსახური და ამორტიზირებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სარეკლამო, სავაჭრო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენას, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელებას;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვაზე ზედამხედველობას, კომპეტენციის ფარგლებში;

ზ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე შენობა-ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო-ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფას მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, კანონით დადგენილი წესით;

თ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, ობიექტის მშენებლობის შეჩერება ან/და დემონტაჟი, მის მიმართ საჯარიმო სანქციების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მისაღებად წინადადებების მომზადებას;

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონტროლის განხორციელებას საზედამხედველო ობიექტში არქიტექტურულ-სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვასა და შესრულებაზე, შემოწმების პროცესში დოკუმენტაციის მოთხოვნას სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირისათვის, კომპეტენციის ფარგლებში;

კ) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, სამშენებლო საქმიანობის დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ მითითების გაცემას მშენებლობის პროექტის, სამშენებლო ნორმების, წესებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევათა გამოსწორების შესახებ;

ლ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“, საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ დადგენილი ზომების მიღებას“;

მ) მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ვარგისად აღიარებისთვის (ექსპლუატაციაში მიღება) დოკუმენტაციის მომზადებას და განხილვას, შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის პროექტის მომზადება;

ნ) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის, უძრავი ძეგლების მდგომარეობის შემოწმებაში მონაწილეობის მიღებას, კომპეტენციის ფარგლებში;

ო) კანონით დადგენილი წესით კონტროლის განხორციელებას კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე;

პ) სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“(შესაბამისი მუხლები და პუნქტები) საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე-35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 39-ე მუხლის და 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლის და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა დ თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ საფუძველზე;

ჟ) წინადადების მომზადებას და განხილვას ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობისა და გარე გაფორმების ელემენტების (მონუმენტურ-დეკორატიული, მცირე არქიტექტურული ფორმები, ტრანსპორტზე განთავსებული რეკლამა, გარე რეკლამა) მხატვრული იერსახისა და განთავსების საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში და კანონით დადგენილი წესით;

რ) სამსახურის კომპეტენციებში შემავალ საკითხებზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაცვაზე კონტროლის განხორციელებას;

ს) ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირებას.

სააუდიტო პერიოდში ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

გაიცა 8 მითითება და შედგენილ იქნა 22 შემოწმების აქტი;

სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე:

ა) სანებართვო პირობების დარღვევისათვის გამოიცა 4 დადგენილება;

ბ) უნებართვო მშენებლობისათვის გამოიცა 13 დადგენილება;

გ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გამოიცა 4 დადგენილება;

დ) მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოიცა 1 დადგენილება.

ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 49 ობიექტი.

სულ 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სამშენებლო სამართალდარღვევებიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადახდილია 17 400 ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე არიან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოს ინსპექტირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურთან კოორდინაციაში აწარმოებენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას და შემდგომში მათ მიღება-ჩაბარებას.

ზედამხედველობის სამსახური სამშენებლო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს გაცემული სამშენებლო ნებართვების კონტროლს.

ასევე, პერიოდულად ხორციელდება ყოველდღიური ინსპექტირება ქალაქ ხაშურსა და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე, რათა მოხდეს სამართალდარღვევათა დროული პრევენცია და აღმოფხვრა. გამოვლენილ სამართალდარღვევაზე საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს თანახმად, სამართალდამრღვევის მიმართ შედგენილი იქნა 2 საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე სამართალდამრღვევის მიმართ შედგენილი იქნა 2 საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევის ოქმი.

ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევებიდან, აღნიშნულ პერიოდში, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილია 500 ლარი.

ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების ბეჭდვას, არსებული ბაზის განახლებას და მასში კორექტირების შეტანას.

2024 წელს დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 152 955 ლარი.

2024 წლის პერიოდში ზედამხედველობის სამსახურში შემოსულია 312 განცხადება.

სამშენებლო სამართალდარღვევის შესაძლო არსებობის შემთხვევაში, ზედამხედველობის სამსახური საქმისწარმოებას იწყებს მითითების გაცემით, რომელიც წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას შეუსაბამობაზე და მოთხოვნას, რომლითაც განისაზღვრება გონივრული ვადა, რომლის ვადაშიც უნდა შესრულდეს მითითებით განსაზღვრული პირობები, სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახური უფლებამოსილია საქმისწარმოება დაიწყოს ასევე შემოწმების აქტით.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“ და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ სამშენებლო სამართალდამრღვევის მიერ არ შესრულდა ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული მითითება, ან შემოწმების აქტის დაწერის შემთხვევაში, არ გამოსწორდა (შესაძლებლობის შემთხვევაში) სამშენებლო სამართალდარღვევა, ზედამხედველობის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ, რის საფუძველზეც გამოიცემა დადგენილება.

აუდიტის ჯგუფმა გადაამოწმა 2024 წელს სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა და გადმოცემული დოკუმენტაციის საფუძველზე შეისწავლა სამართალდარღვევების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. შერჩევის წესით შემოწმებულ იქნა მოქალაქეების მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოტანილი განცხადებები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოჩენის ფაქტები ზედამხედველობის სამსახურის მიერ

მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას, სამართალდარღვევის ფაქტზე, დამრღვევის მიმართ გასცემს მითითებას („საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 123-ე მუხლის პირველი ნაწილი).

მითითება წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობაზე დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას შეუსაბამობაზე და მოთხოვნას, რომლითაც განისაზღვრება გონივრული ვადა, რომლის ფარგლებშიც მან უნდა შეასრულოს მითითებით დადგენილი პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

სამშენებლო სამართალდარღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე, თუ ის არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 128, პირველი ნაწილი.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 123-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სოფელ სავანისუბანში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვო მშენებლობის წარმოებისთვის, 2024 წლის 19 ივნისს, გაიცა №04 მითითება, რითაც მოქალაქეს ეთხოვა, წარმოედგინა ბეტონის ფილის (ზეძირკველის) მოწყობისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სამშენებლო ნებართვა და სამშენებლო დოკუმენტაცია, რისთვისაც განესაზღვრა გონივრული ვადა 15 კალენდარული დღე.

ვადის გასვლის შემდეგ, სამართალდამრღვევმა ვერ წარმოადგინა სამშენებლო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც მის მიმართ 2024 წლის 09 ივლისს შედგა №08 შემოწმების აქტი, სადაც დაფიქსირდა დარღვევა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგინდა, სამართალდამრღვევის მიერ ჩადენილი საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც ითვალისწინებდა სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 1000 ლარით.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სამართალდამრღვევს დაეკისრა ჯარიმა (დაბაში ან სოფელში) 1000 ლარის ოდენობით.

2024 წლის 12 ივლისს ზედამხედველობის სამსახურმა შეადგინა უწყება,

რის საფუძველზეც სამართალდამრღვევ მოქალაქეს იბარებდა საქმის განხილვის ფაქტებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც შედგა სხდომის ოქმი 2024 წლის 22 ივლისს, დადგინდა რომ: „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენისთვის, უნებართვო მშენებლობის წარმოებისთვის სამართალდამრღვევი დაჯარიმდა 1000 ლარით.

სამართალდამრღვევს ეცნობა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 126-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის საფუძველზე ჯარიმა უნდა გადაეხადა ბიუჯეტის სასარგებლოდ, დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარულ დღეში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს შესაბამისად

„ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მე-8 მუხლის შესაბამისად:

აკრძალულია ნარჩენის (ნარჩენების) გარემოში დაგდება (დაყრა), გადაგდება (გადაყრა) ან/და მიტოვება ნარჩენების შეგროვების კონტეინერებისა და ობიექტების გარეთ;

ღონისძიების ორგანიზატორი ვალდებულია დაასუფთაოს დანაგვიანებული ტერიტორია, თუ იგი მის მიერ ორგანიზებული ღონისძიების შედეგად დანაგვიანდა;

მუნიციპალიტეტი, რომლის ტერიტორიაც დანაგვიანდა უფლებამოსილია მოსთხოვოს დამნაგვიანებელს ამ ტერიტორიის დასუფთავება. თუ დამნაგვიანებლის დადგენა ან მოძიება შეუძლებელია, მუნიციპალიტეტს შეუძლია მის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება ტერიტორიის მფლობელს დააკისროს;

მოქალაქემ საკუთარი ნაკვეთის (ს/კ 69.04.60.477) მიმდებარე ტერიტორიაზე დაყარა სამშენებლო ნარჩენები.

2024 წლის 15 აგვისტოს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000003, ნარჩენების მართვის კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ჯარიმას 1500 ლარის ოდენობით, მოქალაქე იქნა დაჯარიმებული.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტები

მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ მე-8 თავის, 29-ე მუხლის მიხედვით:

ექსპლუატაციაში მიღებისთვის ვარგისად აღიარება ნიშნავს დასრულებული მშენებლობის სამშენებლო/სანებართვო პირობებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენა.

ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარებას არ ექვემდებარება:

ა) I კლასს მიკუთვნებული მშენებლობა;

ბ) ექსტერიერის რეკონსტრუქცია (სადაც, ესთეტიკური პარამეტრები არ რეგულირდება);

გ) საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების რეკონსტრუქცია;

დ) დემონტაჟი.

განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარება შესაძლებელია, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად შესრულდა და არ არის დარღვეული სამშენებლო/სანებართვო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები.

შენობა-ნაგებობის კომპლექსის დამოუკიდებელი (კონსტრუქციულად და ფუნქციურად) ობიექტი, რომლის მშენებლობაც დასრულებულია სამშენებლო/სანებართვო პირობების შესაბამისად, შესაძლებელია აღიარებული იქნეს ვარგისად ექსპლუატაციაში მიღებისათვის, თუ განხორციელებულია ძირითადი რიგის სამუშაოები, დარღვეული არ არის სამშენებლო/სანებართვო პირობები და შესაძლებელია სამუშაოთა გაგრძელება მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობით, რაზეც პასუხისმგებელია მშენებლობის ნებართვის მფლობელი და სამშენებლო საქმიანობაში მონაწილე სხვა პირები.

2024 წლის 04.03-ში შემოსულ №19/842406495-84 განცხადებაში მოქალაქე ითხოვდა მშენებლობადასრულებული საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებას. ასევე განცხადებას თან ერთვოდა დეკლარაცია ობიექტზე ცვლილებების არარსებობის შესახებ, დეკლარაციაში წარმოდგენილი იყო სანებართვო პირობებთან ექსპლუატაციაში მისაღები ობიექტის შესაბამისობა. ზედამხედველობის სამსახურმა მოახდინა შესაბამისი რეაგირება საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ზედამხედველობის სამსახურმა ადგილზე შეადგინა სამშენებლო ობიექტის დათვალიერების აქტი №8 და 2024 წლის 15 მარტს გამოიცა ბრძანება მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთში მდებარე საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

მშენებლობის შეჩერება

დაბა სურამში, მოქალაქის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 69.04.60.326), 2023 წლის 14 აგვისტოს №62 ნებართვით გათვალისწინებული სანებართვო პირობების 3,0 მეტრიანი მიჯნის ზონის დარღვევით და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის მიერ ვიზუალურ-საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე, მოხდა მიმდინარე მშენებლობის მთლიანად შეჩერება.

ადმინისტრაციული საქმისწარმოების შეწყვეტა

სოფელ ქვიშხეთში, მოქალაქის თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს/კ 69.06.60.536) გოფრირებული ღობის უნებართვო მშენებლობისათვის მოქალაქის მიმართ ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება. 2023 წლის 07 დეკემბერს გაიცა №22 მითითება. მითითებით განსაზღვრულ ვადის ფარგლებში, მოქალაქემ განახორციელა აღნიშნული ღობის დემონტაჟი და ტერიტორია მოიყვანა პირვანდელ მდგომარეობაში. 2023 წლის 25 დეკემბერს შედგა №31 შემოწმების აქტი, სადაც დაფიქსირდა მითითების შესრულება - დარღვევა გამოსწორებულია. საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“- ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეწყდა მოქალაქის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული საქმისწარმოება, რომლის შესახებაც დადგენილება გამოიცა 2024 წლის 16 თებერვალს..

შიდა აუდიტის სამსახურმა შეამოწმა ზედამხედველობის სამსახურის შიდა კონტროლის სისტემა. შიდა კონტროლის სისტემა მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემაა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, შიდა აუდიტს და რომელიც ყალიბდება, რათა დაეხმაროს დაწესებულებას, მიაღწიოს თავის მიზნებს და კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა.

შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ შეფასდა შიდა კონტროლის სისტემა.

კონტროლის მიზნები:

გარე მომხმარებლისათვის მიწოდებული ინფორმაციის საიმედოობა და მთლიანობა;

სამსახურის შიდა პოლიტიკების, გეგმების პროგრამების შესრულება, ასევე საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამსახურის აქტივების (ინფორმაციის) დაცვა;

სამსახურის რესურსების სწორი, ეთიკური, ეკონომიკური და ეფექტური გამოყენება;

სამსახურის მიმდინარე საქმიანობისა და სპეციალური პროგრამების მიზნების მიღწევა.

შიდა კონტროლის ფუნდამენტი, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინასა და სტრუქტურას, აყალიბებს ეთიკურ გარემოს და შიდა კულტურას ორგანიზაციაში.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის დაწესებულების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებასა და დახვეწას, რომელიც მოიცავს:

ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა პირად და პროფესიულ პატიოსნებას და ეთიკურ ღირებულებებს;

მართვის პროცესებსა და მეთოდებს;

დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას;

ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც მოიცავს პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილებას, ასევე ანგარიშგების საფეხურების იერარქიულობას;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას;

დაწესებულების თანამშრომელთა კომპეტენტურობას.

კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, დაწესებულების მიზნების მისაღწევად, ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს. რისკის მართვის სისტემების ჩამოყალიბებისთვის პასუხისმგებელია დაწესებულების ხელმძღვანელი. იგი განსაზღვრავს იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს დაწესებულების ან/და დაწესებულებების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან/და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე და მოიცავს რისკის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

აუდიტის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების, დოკუმენტაციის ანალიზის, აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან გასაუბრებისა და შიდა კონტროლის სისტემაზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება გამოითქვას ობიექტური მოსაზრება, რომ კონტროლი შეფასებულია როგორც ადეკვატური.

„საქართველოს შრომის კოდექსის“ მიხედვით 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად დამსაქმებელი ხელს უწყობს დასაქმებულის კვალიფიკაციის ამაღლებას და ასევე საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 29-ე მუხლის შესაბამისად, მოხელის სერტიფიკატი არის საჯარო სამსახურში მოხელის თანამდებობაზე დასაქმების მსურველისთვის აუცილებელი ზოგადი უნარებისა და ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა სერტიფიცირების წარმატებით გავლის შედეგად. შიდა აუდიტის მიერ ჩატარებული შიდა კონტროლის მიხედვით ირკვევა, რომ კადრების დატრენინგება ხორციელდება იშვიათად.

შესაბამისად, რეკომენდებულია მოხდეს პერსონალის გადამზადება, სერტიფიკაციის, კვალიფიკაციის ამაღლების მიღების მიზნით, რათა არ ჩამორჩეს სამსახური სამომავლო სიახლეებს, როგორც კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე აიმაღლოს ცოდნა მუშაობის თანამედროვე სტანდარტებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის სამსახურის მიერ რაიმე სახის გადაცდომას (უზუსტობას), რაც არსებით გავლენას იქონიებდა სამსახურებრივი პროცესების მიმდინარეობაზე ადგილი არ ჰქონია. საქმიანობა განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა დოკუმენტი შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და მარეგულირებელ ნორმებს.

შიდა აუდიტის სამსახურმა, 2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2025 წლის 17 მარტიდან 08 მაისამდე პერიოდში, განახორციელა ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2024 წელში განხორციელებული საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. შემოწმების მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა შეესაბამება თუ არა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების საქმიანობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია 6 საჯარო მოხელე. განყოფილების მიზნებს წარმოადგენს მერის წარმომადგენელთა მხარდაჭერა მათ საქმიანობაში და ხაშურის

მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნების შესრულებისას ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

მერის წარმომადგენელთა ინფორმირება მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში შესაბამისი პასუხების მომზადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის პოზიციის შესახებ კონკრეტული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით;

მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციულ ერთეულებში;

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი);

ხე-მცენარეების ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა;

მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა;

საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან;

სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება;

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის, წერილების მომზადება მიწის ნაკვეთების სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შესახებ;

სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება;

მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება;

მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება;

ქუჩების სახელდებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის მომზადება.

განყოფილების მუშაობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება მონაწილეობა „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში მიწის სისტემურ რეგისტრაციაში, მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში კერძოდ: მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიება, ასევე მიწის რეგისტრაციის პროცესში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგზავნის შესაბამის კორესპონდენციას მუნიციპალიტეტის ინფორმირებისა და საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს მერიის მოსამსახურეებისაგან - ასეთი სახის საქმიანობაში მუნიციპალიტეტი კანონის შესაბამისად ჩართულია 2022 წლის 1 იანვრიდან, ასეთი წერილები საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის ეგზავნება მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და ხაშურის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაზე გადასაცემად, სულ 2024 წლის განმავლობაში შემოსულია 246 ასეთი წერილი.

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ასევე განყოფილება მართავს ეს არის მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირების სტატუსის მართვა და მაღალმთიან დასახლებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დღეს, განყოფილების სპეციალისტები ამზადებენ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოსათვის წარსადგენ დოკუმენტაციას მოქალაქის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ სტატუსის მინიჭების მიზნით. სამოქალაქო რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე, უწყვეტენ ან უჩერებენ სტატუსს მოქალაქეებს. ასევე მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება პასუხისმგებელია მოქალაქეთა სტატუსის მონიტორინგის საკითხზე, რომლის საფუძველზეც ხდება მოქალაქისათვის სტატუსის შეწყვეტა.

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში, 2024 წლის განმავლობაში, სულ შემოსული და დამუშავებულია 590-ზე მეტი განცხადება და წერილი, აქედან, მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის პოზიციისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონებისშესახებ-246წერილი,სსიპსოციალურიმომსახურებისსააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ - 8 წერილი, მუნიციპალიტეტის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებულია დაზიანებული საცხოვრებელი სახლისა და გარემოს 24 ვიზუალურ საინჟინრო - გეოლოგიური დასკვნა, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა 31 განცხადება, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ - 120 განცხადება, საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ - 25 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ - 12 განცხადება და 124 სხვადასხვა წერილი და განცხადება.

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 12 სხდომა, სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 88 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 79 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა - 9-ს, ხოლო სტატუსი შეუწყდა 60 მოქალაქეს, მათ შორის მონიტორინგის საფუძველზე 10-ს, რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე -50-ს. სტატუსის შესახებ მომზადდა 245 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ, წლის დასაწყისში დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ჩატარდა 521 მონიტორინგი, მოქალაქეთა სტატუსის გადამოწმების მიზნით. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის აქტიური სტატუსი ჰქონდა 1911 მოქალაქეს.

აუდიტის სამსახურის მიერ ინფორმაციის შეგროვების, დოკუმენტაციის ანალიზის, აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან გასაუბრების და შიდა კონტროლის სისტემებზე დაკვირვების შედეგად, შეიძლება გამოითქვას ობიექტური მოსაზრება, რომ კონტროლი შეფასებულია როგორც ადეკვატური.

შიდა აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა კოორდინაციის განყოფილების თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოთა აღწერილობები. განყოფილებაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის ხელმძღვანელ და სხვა პოზიციებზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს განყოფილებაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

2024 წლის განმავლობაში კოორდინაციის განყოფილების თანამშრომლებს არ აქვთ გავლილი ტრენინგები. სასურველია თუ განყოფილების თანამშრომლები წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ ისეთ ტრენინგ-კურსებში, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვას.

საბოლოოდ, წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სამუშაოების ფაქტიური შესწავლის საფუძველზე, დადგინდა - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების თანამშრომელთა საქმიანობის დროს რაიმე სახის შეუსაბამობებს კანონმდებლობის მიმართ, რაც არსებით გავლენას მოახდენდაშედეგებზე,ადგილიარაჰქონია,ყველადოკუმენტიშედგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მარეგულირებელი ნორმების და მოთხოვნების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურმა დაიწყო ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების აუდიტორული შემოწმება.

თამაზი ლომიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი

ზემო სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

„გზა, ზემო სერის ტყე-პარკთან, ბანასთან და კოლეჯ „ქართლთან„ მიდის, ამიტომ მისი მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ეტაპზე ხორციელდება ტერიტორიის მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება რკინა-ბეტონის საფარი,მოეწყობა სანიაღვრე არხები, ლითონის ზღუდარი, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ზემო სერის ტყე-პარკის შესასვლელთან საპარკინგე სივრცე და გარე განათება“-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, პროექტი გარდამავალია, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 1514 025 ლარს შეადგენს.

ლიონის „მგლებმა“ სურამის „მგლები“ ტესტ-მატჩებისათვის მიიწვია

მართლაც საინტერესო სიახლეა ხაშურის რაგბის ცხოვრებაში - საფრანგეთის ქალაქ ლიონის სარაგბო კლუბმა სურამის რაგბის კლუბი

ტესტ-მატჩებისათვის მიიწვია. ვიზიტი სექტემბრის დასაწყისისთვისაა დაგეგმილი. სულ ორი შეხვედრა გაიმართება, ერთი უშუალოდ ლიონში, მეორე კი ლენში „მეტროპოლიტენის“ სტადიონზე.

სურამის „მგლები“ უკვე 12 წელია რაც არსებობს და მის სათავეში მართლაც საოცარი კაცი - კახა აბრამაშვილი დგას, რომელმაც მთლიანად ნულიდან დაიწყო კლუბის შექმნა და აღორძინება. დღეს უკვე მისი შეგირდები რაგბის ერთ-ერთ მექაში - საფრანგეთის თანატოლებთან გამოცდიან ძალებს. სხვათაშორის, ეს ტესტ-მატჩებიც მთლიანად მისი დამსახურებაა, რომელსაც მან თავისი ფართო სანაცნობო წრის დახმარებით მიაღწია. ჯერ დეტალები კიდევ ზუსტდება, თუმცა, ფაქტია, საფრანგეთში 20-ზე მეტი 16 წლიანი გაემგზავრება და ეს ტესტ-მატჩები უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მათთვის დიდ რაგბში მოხვედრისათვის. საფრანგეთში ჭაბუკები მიემგზავრებიან, თუმცა „მგლებს“ გოგონათა გუნდიც ჰყავთ და საკმაოდ წარმატებულიც. სხვათაშორის, ბოლო სარაგბო ფესტივალზე საუკეთესო მოთამაშედ სწორედ „მგლების“ წევრი ანა-მარია ლომიძე დაასახელეს.

დღეისათვის კლუბში 70-ზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს, რომელთაგან 35 ბიჭია, დანარჩენი კი გოგონები. ამჟამად, ბავშვები ცხრამუხის სტადიონზე

ვარჯიშობენ, რადგან სურამის სტადიონის სრული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, რომელიც წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს და ბავშვებიც მშობლიურ, განახლებულ არენას დაუბრუნდებიან.

და ერთიც: საფრანგეთში ჩვენსა და ფრანგულ „მგლებს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. ეს კი წინაპირობაა, რომ უახლოეს მომავალში, საფრანგეთის სხვადასხვა ლიგაში სურამის მორაგბეებიც გამოჩნდნენ.

წარმატებები „მგლებს“. ჩვენ კი მკითხველს ვპირდებით ფრანგულ პერიპეტიებს სექტემბერში ფართოდ გავაშუქებთ.

გ. გოგოლაძე

„მომავლის სახლის“ ბენეფიციარები - ჯომარდობის ტურნირზე

ხაშურის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის „მომავლის სახლის“ ბენეფიციარებმა, მონაწილეობა მიიღეს ჯომარდობისა და მშვილდოსნობის ტურნირში, „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“, რომელიც ბორჯომში, სოფელ ჩითახევში გაიმართა.

ჩემპიონატი, „ახალგაზრდული მედია კავშირის ორგანიზებით“ მოეწყო და მიზანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალიზაცია იყო.

ტურნირის მხარდამჭერი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის და სპორტის სამსახური, რომელიც პროგრამით უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას.

- ჭადრაკი -

ვერცხლის მედალი- რესპუბლიკურ ტურნირში

ამ დღეებში, კასპში გაიმართა ამაგდარი პედაგოგის, შოთა ჯაბაურის სახელობის მემორიალური რესპუბლიკური გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობა ხაშურის გუნდმაც მიიღო. ალექსანდრე ჭადაშვილმა, სერგო ფარეიშვილმა და იოსებ ქურდაძემ მართლაც დიდებულად ითამაშეს და ვერცხლის მედალიც დაიმსახურეს. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და ეს მიღწევა მით უფროა დასაფასებელი. სხვათაშორის, ამ ტურნირს 12 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და საქალაქოდან დღეს უკვე რესპუბლიკურ ტურნირად იქცა.

შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა მასში მონაწილეთა რაოდენობა, რომელიც გასცდა შიდა ქართლის არეალს და მსურველები უკვე დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტებიდანაც მრავლად იყვნენ.

ვულოცავთ ჩვენს სამეულს ამ წარმატებას და გვჯერა, მათ წინ კიდევ ბევრი გამარჯვებები ელით.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.